იაყუბლოს წყალსაცავის რეაბილიტაცია დასრულდა

17 იანვარი

საქართველოს მელიორაციამ დმანისის მუნიციპალიტეტში 7 მლნ ლარის ღირებულების პროექტი განახორციელა.

სამუშაოების ფარგლებში, გამაგრდა და მონოლითური რკინაბეტონის ფილებით მოპირკეთდა კაშხლის ფერდი, მოეწყო ტალღამრიდის დამცავი რკინაბეტონის 1200 მეტრი სიგრძის კედელი, წყალსაცავის სარეგულაციო კოშკზე დამონტაჟდა ელექტროგანათების და ელექტრომექანიკური ამწე დანადგარები; ასევე, კაშხლის თხემზე აშენდა ბეტონის 1,3 კმ სიგრძის სამანქანო გზა.

ჩატარებული სამუშაოები წყალსაცავის გამართულად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს, რომელიც სარწყავი წყლით დაახლოებით 3000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს ამარაგებს.

წყალსაცავზე განხორციელებული სამუშაოები საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა თამაზ მღებრიშვილმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დაათვალიერა.

ლეკიანის დამშრობი მასივის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

13 თებერვალი

შპს „საქართველოს მელიორაცია“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ლეკიანის დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სოფლების ნაღობილევის, მერიას, ხვარბეთის, მთისპირისა და შემოქმედის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 6 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორული და შემკრები ქსელი გაიწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება და მუნიციპალიტეტში 50 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

სადრენაჟე არხის გაწმენდით სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია მიმდინარე წლის მარტში დაასრულებს.

თიქორი-ენგურის დამშრობ მასივზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

19 თებერვალი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სარემონტო-საექსპლუატაციო ღონისძიებები თიქორი-ენგურის დამშრობ მასივზე მიმდინარეობს. სოფელ ახალ კახათში ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან, ჯამში, 5 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობის გაზრდას უზრუნველყოფს.

შედეგად, 70 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც უხვი და ხარისხიანი მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთრი ძალებით ახორციელებს მარტის თვეში დასრულდება.

საირიგაციო წყლის მიწოდების 2025 წლის რეჟიმები დამტკიცდა

20 თებერვალი

ირიგაციის სექტორი გახდა რიგით მეოთხე რეგულირებადი სექტორი, რომელიც მოექცა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგულირების ფარგლებში.

მარეგულირებელი კომისია უზრუნველყოფს სექტორის მონაწილეთა შორის ურთიერთობების მოწესრიგებას.

რეგულირების ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაციამ“ მფლობელობაში არსებულ თითოეულ საირიგაციო სისტემასთან მიმართებაში საირიგაციო წყლის მიწოდების 2025 წლის რეჟიმები დაამტკიცა.

რეჟიმებში გაწერილია ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მიხედვით წყლის მიწოდების პერიოდი და ჯერადობა.

დამტკიცებული წყლის მიწოდების რეჟიმები, წყალმომარაგების გრაფიკი ყველასთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს წყლის სამართლიან განაწილებას და სწორი მოლოდინების შექმნას.

საირიგაციო წყლის მიწოდების რეჟიმების დამტკიცებამდე საქართველოს მელიორაციამ საირიგაციო წყლის მიწოდების საპროგნოზო რეჟიმების განხილვის მიზნით, შესაბამისი რეგიონების მიხედვით, საჯარო განხილვები მოაწყო.

აღნიშნულ შეხვედრაზე ფერმერებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეფიქსირებინათ საკუთარი წინადადებები ახალი რეგულირების ფარგლებში გამოქვეყნებულ საპროგნოზო რეჟიმებთან მიმართებაში.

კომპანიის მხრიდან მაქსიმალურად იქნა გაზიარებული წყალმომხმარებლების მოსაზრებები საპროგნოზო რეჟიმში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საჯარო განხილვები კომპანიამ ოთხივე რეგიონულ სამსახურში ჩაატარა, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

წყლის მიწოდების რეჟიმები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 30 აგვისტოს N39 დადგენილებით დამტკიცებული „საირიგაციო წყლის მიწოდების“ წესების მე-40 მუხლის და „წყლის მიწოდების რეჟიმების განსაზღვრის წესისა და მორწყვის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 30 აგვისტოს N2-686 ბრძანების მე-4 მუხლის შესაბამისად დამტკიცდა.

ქალაქ წნორში ბოდბისხევის კოლექტორი იწმინდება

25 თებერვალი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო არხებს აწესრიგებს.

ქალაქ წნორში მცენარეებისა და ნატანი მასისგან 1000 მეტრი სიგრძის ბოდბისხევის კოლექტორის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

დღეის მდგომარეობით, 0,7 კმ-ზე მეტი უკვე გაწმენდილია.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის, რაც წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს.

შედეგად, 100 ჰექტარ სატბორე მეურნეობისთვის წყლის მიწოდება გაუმჯობესდება. არხის გაწმენდით სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია მარტში დაასრულებს.

სოფელ ლემშვენიერაში სარწყავი არხები იწმინდება

12 მარტი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

ქვემო ქართლში წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლემშვენიერას ტერიტორიაზე მცენარეებისა და შლამისგან 2 კილომეტრი სიგრძის ქვემო მაგისტრალური არხი იწმინდება.

ექსპლუატაციის პროგრამით ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც დაახლოებით 400 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს. აღდგენილი საირიგაციო არხის მეშვეობით სოფელ ლემშვენიერას მოსახლეობა ისარგებლებს.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს დასრულების ეტაპზეა.

დავით სონღულაშვილი: „ირიგაცია მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია“

13 მარტი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ალადაშვილთან ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა, სადაც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულ საირიგაციო პროექტებს გაეცნო.

მინისტრმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით, 165 ათას ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი სარწყავი წყლით უზრუნველყოფილია.

„ირიგაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობის განვითარების. ფაქტობრივად, შეუძლებელია ირიგაციის სისტემების გარეშე გამართული, მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის წარმოება. ამისთვის მნიშვნელოვანია ის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც ხორციელდება. დღეის მდგომარეობით, მხოლოდ კახეთში, 135 მლნ ლარის ინვესტიცია არის განხორციელებული.

უმნიშვნელოვანესია ახალი პროექტი, რომელსაც მსოფლიო ბანკთან ერთად ვიწყებთ, ეს არის 150 მლნ ევროს ღირებულების პროექტი, რომლითაც სისტემის საკმაოდ დიდი ნაწილი იქნება რეაბილიტირებული, განახლებული და რაც, თავისთავად ცხადია, სოფლის მეურნეობის განვითარებას და მაღალპროდუქტიულობას შეუწყობს ხელს“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

დავით სონღულაშვილი ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

13 მარტი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ალადაშვილთან და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა, სადაც ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა და მარჯვენა მაგისტრალური არხი დაათვალიერა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს საქართველოს მელიორაცია - ის მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 131 კილომეტრი სიგრძის გამანაწილებელი სარწყავი ქსელი მოეწყო.

43,65 მლნ ლარის ღირებულების აღნიშნული სარეაბილიტაციო პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ქალაქ საგარეჯოს, საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 20-ზე მეტ სოფელში 6050 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის გამგეობის წევრებს და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა

13 მარტი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს, გამგეობის წევრებს და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა.

მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მუშაობს სამელიორაციო ობიექტების მოწესრიგებაზე. დავით სონღულაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წყლის რესურსების ეფექტიანად გამოყენების და ფერმერებისთვის წყლის სტაბილური მიწოდებისთვის მნიშვნელოვანია წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მსოფლიო ბანკის შეჯერებული კონცეფციის საფუძველზე, შიდა სამეურნეო სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მართვის გაუმჯობესების, ფერმერისათვის საჭირო დროს, საჭირო რაოდენობის წყლის სტაბილური მიწოდების და სამართლიანი წყალგანაწილების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სხვადასხვა საირიგაციო სისტემაზე დაგეგმილია წყალმომხმარებლთა ორგანიზების შექმნა.

შეხვედრას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, სემეკი-ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანია და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შპს „საქართველოს მელიორაციას“ გიგლა თამაზაშვილი უხელმძღვანელებს

18 მარტი

საქართველოს მელიორაცია-ის ახალი გენერალური დირექტორი გიგლა თამაზაშვილი უწყების თანამშრომლებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა წარუდგინა.

შეხვედრაზე შპს „საქართველოს მელიორაციის“ ახალმა ხელმძღვანელმა სამომავლო გეგმებზე მოკლე კომენტარი გააკეთა.

„მინდა აღვნიშნო, რომ პროფესიიდან გამომდინარე ის გამოწვევები, რაც არსებობს მელიორაციის კუთხით, ჩემთვის უცხო არ არის. ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა გაგრძელდება და კიდევ უფრო მასშტაბური გახდება იმისათვის, რომ სისტემა იყოს გამართული. უახლოესი პერიოდის მნიშვნელოვანი პროექტი იქნება ილტოს წყალსაცავი. იქ სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწების მაქსიმალური გამოყენებისთვის სარწყავი წყალია საჭირო, უნდა შევძლოთ მოსახლეობის დაკმაყოფილება; ამავე დროს, უნდა შევძლოთ ეფექტიანი მოხმარების მექანიზმების აწყობაც. ასევე გაგრძელდება დრენაჟისმიმართულებით განსახორციელებელი სამუშაოები“, - განაცხადა გიგლა თამაზაშვილმა.

გიგლა თამაზაშვილი რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა

21 მარტი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა გიგლა თამაზაშვილმა რეგიონული სამსახურებისა და სერვისცენტრების ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე კომპანიის ახალმა გენერალურმა დირექტორმა დეტალური ინფორმაცია მიიღო რეგიონული სამსახურების საჭიროებების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება მიმდინარე სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების მასშტაბებსა და მნიშვნელობაზე გამახვილდა.

„დეტალური ინფორმაცია ადგილებზე არსებული ვითარების, მიმდინარე საქმიანობის და გამოწვევების შესახებ სწორედ რეგიონული სამსახურების წარმომადგენლებისგან უნდა მოვისმინოთ. ასევე მნიშვნელოვანია, მოვახდინოთ ოპერატიული და ეფექტიანი რეაგირება“, - განაცხადა გიგლა თამაზაშვილმა.

როგორც გიგლა თამაზაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რეგიონული სამსახურების მიერ ფერმერთა საჭიროებების დროული იდენტიფიკაცია და მათზე რეაგირება პრიორიტეტია.

წყლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ფორუმი სტუ-ში

22 მარტი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წყლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ფორუმში შპს „საქართველოს მელიორაციის“ წყლის რესურსების მართვის, ენერგეტიკისა და სემეკ-თან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა მამელი ქობალიამ მიიღო მონაწილეობა.

მამელი ქობალიამ მელიორაციის სექტორში არსებულ გამოწვევებსა და სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

აღსანიშნავია, რომ წყლის რესურსის რაციონალურად გამოყენების ხელშესაწყობად და დანაკარგების შესამცირებლად, შპს „საქართველოს მელიორაცია“ აქტიურად ახორციელებს სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელიც თავისთავად გააუმჯობესებს წყლის მიწოდებას და შეამცირებს წყლის დანაკარგებს სისტემებში.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, წყლის აღრიცხვის პოლიტიკის სწორად წარმოება, მისი ნორმირებული და წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით ფერმერისთვის მიწოდება და სწორი მოლოდინის შექმნა, ხელს შეუწყობს ფერმერებს სწორად დაგეგმონ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში, გამოიყენონ თანამედროვე მორწყვის მეთოდები, რაც პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული წყლის რესურსების რაციონალურ ხარჯვასთან.